საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბრძანება № 01-08/1

ქ. ბათუმი 09 იანვარი, 2018 წ

ბსუ-ს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით შესასრულებელი სამუშაოს, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისა და სამუშაო ჯგუფების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე, 56[1]-56[6] მუხლების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და ბსუ-ს ავტორიზაციის პილოტირების ფარგლებში ექსპერტთა 2017 წლის 22 დეკემბრის დასკვნის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით დამტკიცდეს შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა, განისაზღვროს მის შესრულებაზე პასუხიმგებელი პირები და სამუშაო ჯგუფები დანართი 1-ის შესაბამისად.
2. პასუხიმგებელ პირებს დაევალოთ, 2018 წლის 22 იანვრამდე წარმოადგინონ დანართი 1-ით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ანგარიში, ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით ავტორიზაციის თვითშეფასების კორექტირებული ვერსია და მტკიცებულებები/ინდიკატორები.
3. დანართი 1-ით განსაზღვრულ ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფს დაევალოს წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის კორექტირება და მომზადება ავტორიზაციისათვის წარსადგენად.
4. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და დანართ1-ში აღნიშნულ პირებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მ. ხალვაში

| სტანდარტი | | პასუხისმგებელი პირი |
|---|---|---|
| 1. **ბსუ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება**<br>ბსუ-ს მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიმართულებები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს. | | მერაბ ხალვაში |
| შესასრულებელი სამუშაო | ინდიკატორი/მტკიცებულებები | სამუშაო ჯგუფი |
| 1.1. ბსუ-ს მისია | | მერაბ ხალვაში |
| 1.1.1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის განახლება | სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია | მერაბ ხალვაში<br>გიორგი თავამაიშვილი |
| 1.1.2. მისიაში შესატანი ცვლილებების მომზადება:<br>*ა) მკაფიოდ გაიწეროს ბსუ-ს პროფილი, და მისი შერჩევა დაეფუძნოს ბსუ-ს საჭიროებებს;*<br>*ბ) ბსუ-ს როლისა და ადგილის განსაზღვრისას გამოიკვეთოს უმაღლესი განათლების მიმართულებები და გამოწვევები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.* | ბსუ-ს განახლებული მისია | მერაბ ხალვაში |
| 1.1.3. საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ მისიის გაზიარების მექანიზმის შემუშავება | | მერაბ დიასამიძე<br>ამირან შარაძე |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | | მერაბ ხალვაში<br>გიორგი თავამაიშვილი |
| 1.2.1. *სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით მექანიზმების შემუშავება;* | • შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი | გიორგი თავამაიშვილი<br><br>მერაბ დიასამიძე |
| 1.2.2. გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სტრატეგიისა და საშუალო ვადიანი (სამწლიანი) სამოქმედო გეგმის კორექტირებული ვერსიის მომზადება;<br>1.2.3. გაზომვადი სამიზნე ნიშნულებისა და შესრულების ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრა; | • სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი); | მერაბ ხალვაში<br><br>გიორგი თავამაიშვილი |
| 1.2.4. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის, შეფასებისა და შეფასების შედეგებზე დაფუძნებული რეაგირების მექანიზმების აღწერა | • შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი | გიორგი თავამაიშვილი |
| 1.2.5. სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი მექანიზმებისა და ღონისძიებების რეგულაციის შემუშავება-დახვეწა:<br>*ა) გამოიკვეთოს უწყვეტი განათლების (LLL) ცენტრის როლი და ფუნქციები;* | • შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი | თამარ სირაძე<br><br>მადონა მიქელაძე |

| | | |
|---|---|---|
| *ბ) განისაზღვროს კონკრეტული საჭიროების გათვალისწინებით მიზანმიმართული მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების მომზადებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა;* | | |
| 1.2.6. *განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვისა და მისი შესრულების მარეგულირებელი წესის მომზადება.* | • დაგეგმილი აქტივობები; | თამარ სირაძე<br><br>ქანა ჯიბლაძე |
| 1.2.7. ინფორმაცია ბსუ-ს მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ:<br>ა) სოციალური და კულტურული პროგრამები;<br>ბ) ეკონომიკური პროგრამები;<br>გ) გარემოსდაცვითი პროგრამები;<br>დ) საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობა;<br>ე) საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;<br>ვ) სხვადასხვა ინსტიტუციისთვის კვლევების ჩატარება. | • განხორციელებული აქტივობები; | თამარ სირაძე<br><br>მერაბ დიასამიძე<br>ჯემალ ანანიძე<br>მარინა ქარიძე<br>ნათელა წიკლაშვილი |
| **სტანდარტი** | | **პასუხიმგებელი პირი** |
| **2. ბსუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**<br>ბსუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას. | | ჯემალ ანანიძე |
| **შესასრულებელი სამუშაო** | **ინდიკატორი/მტკიცებულებები** | **სამუშაო ჯგუფი** |
| **2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა** | | ჯემალ ანანიძე<br>ლეილა აბულაძე |
| 2.1.1. ბსუ-ს სტრუქტურის აღწერა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ბსუ-ს მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.<br>2.1.2. *მართვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ოპტიმიზაციის გეგმის შემუშავება;* | • ბსუ-ს სტრუქტურა | მერაბ ხალვაში<br>ჯემალ ანანიძე<br><br>აკადემიური საბჭო<br><br>წარმომადგენლობითი საბჭო |
| 2.1.3. ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების დებულების განახლება/სრულყოფა:<br>*ა) მართვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ფუნქციებისა და მოვალეობა/პასუხისმგებლობების გამიჯვნა;*<br>*ბ) აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოთა აღწერილობების მომზადება;* | • სტრუქტურული ერთეულების დებულებები;<br>• სამუშაოთა აღწერილობები | ქანა ჯიბლაძე;<br>ამზორ ბერიძე;<br>მარინა გიორგაძე;<br>მარინა ქარიძე;<br>გულადი ფარტენაძე;<br>მადონა მიქელაძე;<br>გაიოზ ფარეხალაძე; |

| | | |
|---|---|---|
| | | ადამ მახარაძე;<br>ვლადიმერ ღლონტი;<br>როსტომ ბერიძე;<br>ქეთევან ბერიძე;<br>ლელა თურმანიძე;<br>ირმა ქურქაძე;<br>როლანდ ხალვაში;<br>გურამ გვარიშვილი;<br>მერაბ ბერიძე;<br>მერაბ დიასამიძე;<br>თამარ მაჭუტაძე;<br>მარინა ბაგრატია;<br>ნანა ხახუტაიშვილი;<br>ნინო დოლიძე;<br>გიორგი თავამაიშვილი;<br>ზეიად ბერაძე;<br>არჩილ ვარშალომიძე;<br>ელისო ძნელაძე;<br>დიანა ახვლედიანი. |
| 2.1.4. ბსუ-ს მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურების აღწერა, რომელიც უნდა იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი:<br>ა) რექტორის არჩევის წესი;<br>ბ) რექტორის მოადგილის დანიშვნის წესი;<br>გ) აკადემიური საბჭოს არჩევის წესი;<br>დ) წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესი;<br>ე) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევის წესი;<br>ვ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი;<br>ზ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი;<br>თ) დეკანის არჩევის წესი;<br>ი) დეკანის მოადგილის დანიშვნის წესი;<br>კ) ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი. | • მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესი და პროცედურები; | ჟანა ჯიბლაძე |
| 2.1.5. აღწერა და დასაბუთება იმისა, რომ ბსუ-ს ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს ბსუ-ს საქმიანობის ეფექტურ მართვას. | • საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების სისტემა;<br>• ბსუ-ს საქმისწარმოების წესი;<br>• მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა; | მერაბ ხალვაში<br>ჯემალ ანანიძე |
| 2.1.6. ინფორმაცია ბსუ-ს ხელმძღვანელობის მიერ უნივერსიტეტის საერთაშორისო | • საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის, მათ შორის, უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის | ნათელა ნიკოლაშვილი |

| | | |
|---|---|---|
| თანამშრომლობისა და ინტერ-ნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის შესახებ;<br>2.1.7. *ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავება და დამტკიცება;*<br>2.1.8. *ინტერნაციონალიზაციის მიზნით ბსუ-ს პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება.* | მოზიდვის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასების ანალიზი;<br>• უცხოეთის უნივერსიტეტებთან ბსუ-ს მიერ გაფორმებული მემორანდუმების შესახებ ინფორმაცია;<br>• ბსუ-ს მიერ განხორციელებული და მიმდი-ნარე საერთაშორისო პროექტების მოკლე აღწერები<br>• საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსო-ნალის სტატისტიკა | გიორგი თავამაიშვილი |
| **2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები** | | ანზორ ბერიძე<br>ქეთევან სვანიძე<br>ასიე ცინცაძე |
| 2.2.1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვა:<br>ა) *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს უნივერსიტეტის როგორც სასწავლო და სამეცნიერო პროცესის, აკადემიური და სამეცნიერო, ასევე დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მომსახურების შეფასებას და ხარისხის უზრუნველყოფას;*<br><br>2.2.2. ბსუ-ს შიდა ხარისხის უზრუნველ-ყოფის მექანიზმების ეფექტურად განსა-ხორციელებლად საჭირო ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურ-სის შესახებ ინფორმაცია; | • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით სანდო და საჭირო ინფორმაციის გენერირებას;<br>• შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და პრაქტიკა;<br>• ბსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა და სხვა პირთა გამოკითხვის შედეგები; | ჯემალ ანანიძე;<br>ანზორ ბერიძე;<br>ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები.<br><br>ანზორ ბერიძე |
| 2.2.3. ინფორმაცია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლო-გიის შესახებ, რომელიც თითოეულ სტუდენტს უნდა აძლევდეს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. | • სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები; | ანზორ ბერიძე |
| **2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა** | | თამარ სირაძე<br>ჟანა ჯიბლაძე<br>მერმან გორგოშაძე |
| 2.3.1. *ეთიკასთან და აკადემიურ კეთილსინ-დისიერებასთან დაკავშირებული რეგულა-ციების და პროცედურების გადახედვა;*<br>2.3.2. ბსუ-ს მიერ შემუშავებული რეგულა-ციებისა და მექანიზმების აღწერა, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდეს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. ინფორმაცია აღნიშნული რეგულაციების საჯაროდ ხელმისაწვდომის შესახებ. | • ეთიკისა და ქცევის წესები;<br>• დარღვევაზე რეაგირების პროცედურები;<br>• განხორციელებული აქტივობები, რომლებიც მიმართულია ეთიკური და ქცევის ნორმების გაცნობისკენ და მათი დაცვის წახალისებისკენ; | აკადემიური საბჭო<br>თამარ სირაძე<br>ჟანა ჯიბლაძე |

| | | |
|---|---|---|
| 2.3.3. *პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმების შემუშავება.* | • პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები; | თამარ სირაძე<br>ჟანა ჯიბლაძე<br>მადონა მიქელაძე<br>ნანა მაკარაძე<br>მურმან გორგოშაძე |
| 2.3.4. *ინფორმაცია აკადემიური თავისუფლების პრინციპების დეკლარირების შესახებ;* | • ზსუ-ს მარეგულირებელი აქტ(ებ)ი, რომელშიც დეკლარირებულია აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა<br>• შესაბამისი რეგულაციების ხელმისაწვდომობა; | თამარ სირაძე<br>ჟანა ჯიბლაძე |
| **სტანდარტი** | | **პასუხიმგებელი პირი** |
| **3. საგანმანათლებლო პროგრამები**<br>ზსუ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. | | ამზორ ზერიძე |
| **შესასრულებელი სამუშაო** | **ინდიკატორი/მტკიცებულებები** | **სამუშაო ჯგუფი** |
| **3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება** | | ამზორ ზერიძე<br>ასიე ცინცაძე<br>ქეთევან სვანიძე |
| 3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის აღწერა, რომელიც უზრუნველყოფს:<br>*ა) საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში პოტენციური დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა მეტად ჩართვას;*<br>*ბ) საგანმანათლებლო პროგრამებში არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდას;*<br>*გ) სილაბუსებში სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალებისა და მითითებული ლიტერატურის განახლებას;*<br><br>3.1.2. *სადოქტორო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც*<br>*ა) ითვალისწინებს სადოქტორო პროგრამების ოპტიმიზაციას და პროგრამების სტრუქტურის ცვლილებას (მაგ. როგორიცაა კვლევითი კომპონენტის კრედიტების რაოდენობის გაზრდა)*<br>*ბ) უზრუნველყოფს სადოქტორო დისერტაციის ხარისხის ამაღლებას;* | • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;<br>• შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>• სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვა და შედეგების ანალიზი;<br>• კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (მათ შორის, მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად);<br>• სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;<br>• პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები;<br>• საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები; | ასიე ცინცაძე<br>ქეთევან სვანიძე<br>მერაბ დიასამიძე<br><br>ამზორ ზერიძე<br>ნათელა წიკლაშვილი<br>თამარ მაჭუტაძე |
| **3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** | | მურმან გორგოშაძე<br>ნანა მაკარაძე |

| | | |
|---|---|---|
| 3.2.1. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები | • საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კომპონენტის სილაბუსები;<br>• სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;<br>• აკადემიური კალენდარი;<br>• საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;<br>• ინფორმირების ალტერნატიული მექანიზმები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;<br>• პროგრამის განსაზღვრულ ვადაში დასრულებისა და პროგრამიდან განთესვის მონიტორინგი; | მურმან გორგოშაძე<br><br>ნანა მაკარაძე |
| 3.2.2. ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფს ბსუ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებით სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.<br>3.2.3. *ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის გადახედვა, რომელიც ხელს შეუწყობს:*<br>*ა) ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების სტუდენტთათვის სასწავლო პროგრამების შესაბამისი გარემოსა და პროცედურების დახვეწას;*<br>*ბ) აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით პრობლემურსილებთათვის დამატებითი დამხმარე კურსების შეთავაზებას;* | • ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი შემუშავების მეთოდოლოგია; | მადონა მიქელაძე<br><br>მურმან გორგოშაძე<br><br>ნანა მაკარაძე |
| **3.3. სწავლის შედეგების შეფასება** | | ლეილა ახვლედიანი<br><br>გოჩა ჩავლეშვილი |
| 3.3.1. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ბსუ-ში კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.<br>3.3.2. *პროცედურების აღწერა, რომლებიც უზრუნველყოფს:*<br>*ა) საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით სასწავლო პროცესის მონიტორინგის მკაფიო პროცედურებს;*<br>*ბ) სწავლის შედეგების განსაზღვრის ეფექტური მექანიზმების დანერგვას;*<br>*გ) შეფასების მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანას;* | • სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მათი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული მხარეებისთვის;<br>• საგანმანათლებლო პროგრამა; | ლეილა ახვლედიანი<br><br>გოჩა ჩავლეშვილი |

| | | |
|---|---|---|
| დ) ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების განახლებისა და სხვა საჭირო ცვლილებების განხორციელებას. | | |
| სტანდარტი | | პასუხისმგებელი პირი |
| 4. ზსუ-ს პერსონალი<br>ზსუ უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე. | | თამარ სირაძე<br>ნათელა წიკლაშვილი<br>ჯემალ ანანიძე |
| შესასრულებელი სამუშაო | ინდიკატორი/მტკიცებულებები | სამუშაო ჯგუფი |
| 4.1. პერსონალის მართვა | | თამარ სირაძე<br>ჯემალ ანანიძე<br><br>ასიე ცინცაძე |
| 4.1.1. *ზსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის შემუშავება, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას, რის საფუძველზეც მომზადდება პერსონალის დასაქმების, შეფასების, პროფესიული განვითარებისა და დაწინაურების მექანიზმები. ჩამოყალიბდება პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლების პროცედურები. უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პოზიციის მოთხოვნებით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან;*<br>4.1.2. *კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის მექანიზმების შემუშავება;*<br>4.1.3. პერსონალის რაოდენობის სამიზნე ნიშნულების განმსაზღვრელი დოკუმენტაციის შემუშავება;<br>4.1.4. *ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების სისტემის შემუშავება;*<br>4.1.5. *შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება;*<br>4.1.6. *ზსუ-ს მიერ შემუშავებული „პერსონალის მართვის პოლიტიკის" აღწერა;*<br>4.1.7. *პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმებისა და გამჭვირვალე პროცედურების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების თანაბარ პირობებში მონაწილეობას და შედეგების ეფექტიანობის შეფასებას.* | • პერსონალის მართვის პოლიტიკა, შესაბამისი რეგულაციები (მათ შორის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების და პროფესიული განვითარების მექანიზმები) და განხორციელების შედეგები;<br>• პერსონალის მართვის პოლიტიკისა და რეგულაციების ხელმისაწვდომობა და მათ შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება;<br>• პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;<br>• სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ, მათ შორის: აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობასთან; აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან; ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა; პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი;<br>• აფილირების წესისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;<br>• ზსუ-ს მიერ დადგენილი სამიზნე ნიშნულები; | თამარ სირაძე<br>ჯემალ ანანიძე<br>ამზორ ზერიძე<br>ნათელა წიკლაშვილი |

| | | |
|---|---|---|
| 4.1.8. რეგულაციების აღწერა, რომლის გამოყენებითაც ბსუ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას. | • სამუშაო აღწერილობები;<br>• საკვალიფიკაციო მოთხოვნები;<br>• პერსონალის პირადი საქმეები;<br>• გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეტანილი განაცხადების რაოდენობა; | თამარ სირაძე<br>ჯემალ ანანიძე<br>ანზორ ბერიძე<br>ნათელა წიკლაშვილი |
| **4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა** | | თამარ სირაძე<br>ნათელა წიკლაშვილი<br><br>გოჩა ჩავლეშვილი |
| 4.2.1. აღწერა და დასაბუთება იმისა, რომ ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უნივერსიტეტში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია. | • აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი (რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც);<br>• პროგრამების მიხედვით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;<br>• აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამებთან და სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;<br>• აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;<br>• აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>• აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;<br>• ბსუ-ს მიერ დადგენილი სამიზნე ნიშნულები; | თამარ სირაძე<br>ნათელა წიკლაშვილი |
| **სტანდარტი** | | **პასუხიმგებელი პირი** |
| **5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**<br>ბსუ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად ბსუ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს. | | მერაბ დიასამიძე<br>ზურაბ მამუნიძე |
| **შესასრულებელი სამუშაო** | **ინდიკატორი/მტკიცებულებები** | **სამუშაო ჯგუფი** |
| 5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები | | თამარ სირაძე<br>ჟანა ჯიბლაძე<br>რევეკა ფერდმანი<br><br>ნუგზარ ღომიძე |

| | | |
|---|---|---|
| 5.1.1. თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესების აღწერა; | • მარეგულირებელი დოკუმენტები;<br>• ინფორმაციის საჯაროობა;<br>• ბსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; | ქანა ჯიბლაძე<br>ნუგზარ ღომიძე |
| 5.1.2. რეგულაციების აღწერა, რომლის შესაბამისადაც ბსუ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. | • ბსუ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;<br>• სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი;<br>• ბსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; | ქანა ჯიბლაძე<br>ნუგზარ ღომიძე |
| **5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები** | | მერაბ დიასამიძე<br>დავით ქობულაძე<br>გოჩა ჩაღლეშვილი |
| 5.2.1. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად ბსუ-ში მოქმედი საკონსულტაციო მომსახურების აღწერა; | • დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები;<br>• ბსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; | გოჩა ჩაღლეშვილი |
| 5.2.2. ბსუ-ში არსებული კარიერული მხარდაჭერის სერვისის აღწერა, რომლის საშუალებით სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. | • კარიერული მხარდაჭერის სერვისი;<br>• განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები (დასაქმების ფორუმები, სამუშაო შეხვედრები, თემატური კონფერენციები, სტუდენტებისთვის გაწეული ინდივიდუალური კონსულტაციები და სხვა.);<br>• სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი, მათ შორის, მინიჭებული კვალიფიკაციების მიხედვით;<br>• განხორციელებული სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამები;<br>• დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და შედეგები;<br>• ბსუ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; | მერაბ დიასამიძე |
| 5.2.3. იმ მექანიზმების აღწერა, რომლებითაც ბსუ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტსა და ღონისძიებაში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. | • სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებელი სხვადასხვა პროექტში;<br>• ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;<br>• განხორციელებული და დაგეგმილი სტუდენტური ინიციატივები/პროექტები;<br>• ბსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; | მერაბ დიასამიძე<br>ნუგზარ ღომიძე |
| 5.2.4. სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების აღწერა; | • სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტები:<br>• სტატისტიკური მონაცემების ანალიზი; | მერაბ დიასამიძე |

| | | |
|---|---|---|
| | • ინფორმაციის საჯაროობა;<br>• ბსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; | |
| 5.2.5. სტუდენტური კონტინგენტის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების აღწერა; | • ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;<br>• უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის მექანიზმები;<br>• უცხოელი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი სერვისები, საორიენტაციო შეხვედრები;<br>• სტატისტიკური ინფორმაცია; | მურაზ დიასამიძე<br>ირაკლი გორგილაძე |
| სტანდარტი | | პასუხიმგებელი პირი |
| 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა<br>ბსუ საუნივერსიტეტო სტატუსისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას. | | ნათელა წიკლაშვილი |
| შესასრულებელი სამუშაო | ინდიკატორი/მტკიცებულებები | სამუშაო ჯგუფი |
| 6.1. კვლევითი საქმიანობა | | თამარ მაჭუტაძე<br>გურამ მემარნე<br>რაულ გოცირიძე<br>როინ მალაყმაძე<br>მარიამ მეტრეველი<br>ნუგზარ ღლონტი |
| 6.1.1. ბსუ-ს მიერ განხორციელებული და მიმდინარე კვლევითი საქმიანობის აღწერა; | • ბსუ-ს მისია;<br>• ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო აქტივობები;<br>• თანამშრომლობის მემორანდუმი ეკონომიკურ აგენტებთან და მათთან თანამშრომლობით დაგეგმილი, მიმდინარე და განხორციელებული კვლევითი პროექტები;<br>• ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების ინსტიტუციის განვითარების სტრატეგია;<br>• განხორციელებული, მიმდინარე და/ან დაგეგმილი სამეცნიერო პროექტები;<br>• პერიოდული გამოცემები; | ნათელა წიკლაშვილი<br>გურამ მემარნე<br>რაულ გოცირიძე<br>როინ მალაყმაძე<br>მარიამ მეტრეველი<br>ფაკულტეტის დეკანები<br>დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელები |
| 6.1.2. სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველმყოფი მექანიზმების აღწერა; | • აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვა და ფუნქციები;<br>• ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა; | თამარ მაჭუტაძე<br>ნუგზარ ღლონტი |
| 6.1.3. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების აღწერა. | • სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი;<br>• სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი; | თამარ მაჭუტაძე |

| | | |
|---|---|---|
| **6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია** | | ნათელა წიკლაშვილი<br><br>ირაკლი გორგილაძე |
| 6.2.1. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის სისტემის აღწერა და სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს:<br>*ა) კვლევითი აქტივობების მხარდასაჭერად შესაბამისი პირობებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას;*<br>*ბ) სამეცნიერო პროექტების დაწერის, თანხის მოძიების და ინტერნაციონალიზაციის საკითხებში მხარდაჭერას;*<br>*გ) სასწავლო პროცესში კვლევის ინტეგრირების გაზრდას;*<br>*დ) კვლევითი ინსტიტუტებში არსებული ლაბორატორიების სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომობას.* | • ბსუ-ს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელშიც ასახულია კვლევითი საქმიანობის განვითარების შესაძლებლობები;<br>• ბიუჯეტში კვლევებისათვის გათვალისწინებული დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>• კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები; | ნათელა წიკლაშვილი<br><br>თამარ მაჭუტაძე |
| 6.2.2. კვლევით საქმიანობაში ახალი კადრების მოზიდვისა და ჩართვის მექანიზმების აღწერა. *სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც გააძლიერებს კვლევის სტრატეგიის თანმიმდევრულ განხორციელებას და ახალგაზრდა მკვლევართა ჩართულობას სამეცნიერო აქტივობებში;* | • უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვის სტრატეგია;<br>• ახალგაზრდა მკვლევრების (მაგისტრანტები, დოქტორანტები, პოსტდოქტორანტები და სხვა) ინიციატივები, რომლებიც მხარდაჭერილია უნივერსიტეტის მიერ; | ნათელა წიკლაშვილი |
| 6.2.3. კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების აღწერა.<br>*6.2.4. სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც გაზრდის სადოქტორო საფეხურის ინტერნაციონალიზაციას, რითაც ხელს შეუწყობს ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაციას;* | • ერთობლივი კვლევითი აქტივობები საერთაშორისო პარტნიორებთან;<br>• ინსტიტუციური თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან;<br>• პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში;<br>• ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ან მათ განსახორციელებლად პარტნიორების მოძიების სამოქმედო გეგმა;<br>• უცხოელი და ადგილობრივი პროფესორების თანახელმძღვანელობის სტატისტიკა; | ნათელა წიკლაშვილი<br><br>ირაკლი გორგილაძე |
| **6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება** | | ნათელა წიკლაშვილი<br><br>ანზორ შერიძე |
| 6.3.1. კვლევითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემის აღწერა.<br>*6.3.2. კვლევის ეთიკის შესახებ რეგულაციების მომზადება, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან;*<br>*6.3.3. მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს:* | • კვლევის ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები;<br>• პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა;<br>• განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში (აკადემიური პერსონალის აფილირების გათვალისწინებით);<br>• შეფასების შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება; | ნათელა წიკლაშვილი<br>თამარ მაჭუტაძე<br>მურმან გორგოშაძე |

| | | |
|---|---|---|
| *ა) კვლევის მეთოდები და ობიექტები გადახალისებას, რათა ისინი შესაბამებოდნენ თანამედროვე სტანდარტებსა და მეთოდებს;*<br>*ბ) ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშების საჯაროობას;* | | |
| სტანდარტი | | პასუხიმგებელი პირი |
| 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები<br>ხსუ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას | | ჯემალ ანანიძე |
| **შესასრულებელი სამუშაო** | **ინდიკატორი/მტკიცებულებები** | **სამუშაო ჯგუფი** |
| 7.1. მატერიალური რესურსები | | ედიშერ ჩავლეიშვილი<br>ნუგზარ დოლიძე |
| 7.1.1. ხსუ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსის (უძრავი და მოძრავი ქონება) აღწერილობა, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება სტუდენტთა არსებულ და/ან დაგეგმილ რაოდენობას.<br>7.1.2. *მატერიალური რესურსების მონიტორინგის და შეფასების სისტემის შემუშავება;* | • უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>• შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;<br>• მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• საგანმანათლებლო პროგრამები და მათში მითითებული გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და მისი შესაბამისობა მატერიალურ რესურსებთან;<br>• პრაქტიკის/კვლევით-სამეცნიერო ობიექტთან დადებული ხელშეკრულება. | ჯემალ ანანიძე<br>ედიშერ ჩავლეიშვილი |
| 7.1.3. საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემოს აღწერა: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. | • ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების სისტემა;<br>• ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;<br>• გათბობისა და ვენტილაციის სისტემის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ექსპლუატაციის ვადა;<br>• სანიტარიული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი. | როლანდ ხალვაში<br>ალექსანდრე გოგიტიძე |
| 7.1.4. პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ინფორმაცია. | • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;<br>• საევაკუაციო გეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>• ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, უსაფრთხოების კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• წესრიგის უზრუნველყოფასა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ | კობა ჰანტურია<br>ეთერ ჯაყელი |

| | | |
|---|---|---|
| | პირთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;<br>• დასკვნები: შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ | |
| 7.1.5. სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის ზსუ-ში არსებული ადაპტირებული გარემოს აღწერა.<br>7.1.6. *სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის პირობებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას;* | • ადაპტირებული გარემო ან/და შემდგომი განვითარების გეგმა; | ჯემალ ანანიძე |
| 7.2. საბიბლიოთეკო რესურსები | | ლელა თურმანიძე<br>ქეთევან სვანიძე |
| 7.2.1. ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსების და მომსახურების აღწერა, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.<br>7.2.2. ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების ხელშეწყობის შესახებ;<br>*7.2.3. საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო მონაცემთა ბაზებისადმი ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა;*<br>*7.2.4. ელექტრონული სასწავლო მასალებისადმი ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა;*<br>*7.2.5. ბიბლიოთეკის რესურსების, ელექტრონული ბიბლიოგრაფიის და კატალოგების ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენების გაზრდის მექანიზმების შემუშავება;* | • წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი;<br>• ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;<br>• საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• ელექტრონული კატალოგი;<br>• ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა;<br>• ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები;<br>• ჩატარებული შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა ღონისძიებები;<br>• ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ინსტრუქციები; | ლელა თურმანიძე |
| 7.3. საინფორმაციო რესურსი | | ზვიად ბერაძე<br>ნინო დოლიძე<br>ლეილა აბულეძიანი |
| 7.3.1. ინფორმაცია ზსუ-ში შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მისი ადმინისტრირების უზრუნველყოფისა და ხელმისაწვდომობის შესახებ. | • ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (საერთაშორისო სტანდარტის გამოყენების შემთხვევაში, სტანდარტის მითითება);<br>• ადმინისტრირების, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების წესი; | ზვიად ბერაძე |

| | | |
|---|---|---|
| | • ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;<br>• ინტერნეტის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები. | |
| 7.3.2. ინფორმაცია ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემებისა და მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების არსებობის შესახებ.<br>*7.3.3. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით სასწავლო პროცესის სრულად მართვის განხორციელების შესაბამისი სამოქმედო გეგმა.*<br>***7.3.4.*** *სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ინგლისურენოვანი „ინტერფეისის" შექმნის სამოქმედო გეგმა.* | • დანერგილი ელექტრონული სერვისები;<br>• მართვის ელექტრონული სისტემები;<br>• ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმები; | ზვიად ბერაძე |
| 7.3.5. ინფორმაცია ბსუ-ში ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის შესახებ. | ბიზნესუწყვეტობის სამოქმედო გეგმა. | ზვიად ბერაძე |
| 7.3.6. ინფორმაცია ბსუ-ში ვებგვერდის ქართულ და ინგლისურ ენებზე ფუნქციონირების შესახებ.<br>*7.3.7. ვებგვერდის ინგლისურ ვერსიის ადმინისტრირების გაუმჯობესების გეგმა.* | • დომენი, ჰოსტინგი, სერტიფიკატი;<br>• ბსუ-ის ქართული და ინგლისური ვებგვერდების შედარებითი ანალიზი;<br>• ბსუ-ის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრა, ადმინისტრირების წესისა და შესაბამისი სამუშაოს აღწერილობის შემუშავება;<br>• კვლევის შედეგები ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია რამდენად მკაფიო, ზუსტი, სრული, ობიექტური, სტაბილური, განახლებული და ადვილი ხელმისაწვდომია. | ზვიად ბერაძე<br>ნინო დოლიძე |
| 7.4. ფინანსური რესურსი | | გურამ გვარიშვილი<br>ასიე ცინცაძე |
| 7.4.1. დასაბუთება იმისა, რომ ბსუ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.<br>***7.4.2.*** *ინფორმაცია და სამოქმედო გეგმა ალტერნატიული ფინანსური რესურსების მოძიების შესახებ.* | • დაფინანსების წყაროები;<br>• ბსუ-ს ბიუჯეტი;<br>• დაგეგმილი ფინანსების დინამიკა წლების მიხედვით. | გურამ გვარიშვილი |
| 7.4.3. დასაბუთება იმისა, რომ ბსუ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. | • ბსუ-ს ბიუჯეტი, დაფინანსების დინამიკა, მიმდინარე ან/და წინასაანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშები, ადმინისტრაციული ხარჯების წილი საერთო ბიუჯეტში. | გურამ გვარიშვილი |
| 7.4.4. დასაბუთება იმისა, რომ ბსუ-ს ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. | • დაფინანსების დინამიკა;<br>• თანაფარდობა ხარჯებს შორის. | გურამ გვარიშვილი |

| | | |
|---|---|---|
| 7.4.5. ინფორმაცია, ბსუ-ს ბიუჯეტში გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსების შესახებ;<br>7.4.6. *ინფორმაცია კვლევებისა და სხვა აქტივობების დაფინანსების სამომავლო ზრდის შესაძლებლობის შესახებ;*<br>7.4.7. *ინფორმაცია ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურისათვის, ტექნოლოგიისა და ბიბლიოგრაფიისათვის ფინანსური რესურსების სამომავლო ზრდის შესაძლებლობის შესახებ;* | • კვლევების განხორციელებასა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარებაზე გაწეული და დაგეგმილი ხარჯები;<br>• თანაფარდობა ხარჯებს შორის. | გურამ გვარიშვილი |
| 7.4.8. ინფორმაცია ბსუ-ში არსებობული ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ.<br>*7.4.9. ინფორმაცია და სამოქმედო გეგმა შიგა აუდიტის სისტემის შექმნის შესახებ.*<br>7.4.10. *რეგულაციის შემუშავება, რომლის შესაბამისად ბსუ-ში რეგულარულად ჩატარდება გარე აუდიტი.* | • პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებებისა და ანგარიშვალდებულების წესი და ფორმა;<br>• ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტი;<br>• ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტი. | ჯემალ ანანიძე |